14.01.2020

სამოტივაციო წერილი

ვებგვერდზე www.jobs.ge ვიხილე განთავსებული ვაკანსია **დირექტორის** პოზიციაზე, რომელიც გამოცხადებულია სსიპ „საპენსიო სააგენტოს“ მიერ.

ვფიქრობ, ჩემი პროფესიული საქმიანობა, გამოცდილება, სოციალური უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები ამ ვაკანსიის შესაფერისია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩემი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაო მოიცავს ხელმძღვანელ პოზიციებს. დაქვემდებარებული თანამშრომლების ეფექტური მართვა, მათ მოტივაციაზე ზრუნვა, დაკისრებული მოვალეობების შესრულების კონტროლი, ყოველდღიური სამუშაოს ორგანიზება და კონტროლი, გეგმის განხორციელების კონტროლი, სამუშაო პროცესში აღმოჩენილი პრობლემების დროული აღმოფხვრა, ხარჯების შემცირება და ხარისხიანი სამუშაო პროცესის წარმართვა ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო.

გარდა პრაქტიკული გამოცდილებისა, გავლილი მაქვს სხვა და სხვა თეორიული ტრენინგ-კურსები, რომელიც მითითებული მაქვს ჩემს დეტალურ რეზიუმეში.

მაქვს კოლეგიალური და საქმიანი ურთიერთობა როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალურად მუშაობის უნარები.

ამ ვაკანსიით ჩემი დაინტერესება არის ერთგვარი გამოწვევა ჩემთვის და რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ვფიქრობ, რომ მიღებული გამოცდილება დამეხმარება პროფესიულ განვითარებაში, საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებაში.

დაინტერესების შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ რეზიუმეში.

იმედი მაქვს ჩვენი შემდგომი ეფექტური თანამშრომლობის.

პატივისცემით,

ირინა ზაალიშვილი